საინფორმაციო ბიულეტენი №3
2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი
სექტემბერ-ოქტომბერი, 2018

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი 1 აგვისტოს დაიწყო.

საია წინასაარჩევნო პერიოდს ცენტრალური და 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით, თბილისსა და რეგიონებში – აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან. ასევე, საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ტენდენციებზე, ყურადღების გამახვილება საკანონმდებლო და პრაქტიკულ ხარვეზებზე. აგრეთვე, საარჩევნო კანონმდებლობაში პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

მონიტორინგისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებაზე. ასევე, ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობაზე ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის.

საიას მონიტორები ყურადღებას ისეთ საკითხებზე ამახვილებენ, როგორებიცაა: საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტების გამოვლენა/აღკვეთა, ამომრჩევლის ნების თავისუფლებისათვის ხელშემწყობი გარემო, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხები, საარჩევნო სუბიექტების უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება, ინკლუზიური საარჩევნო გარემო, მედიის სამუშაო გარემო და ა. შ.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, ორგანიზაცია შესაბამის განცხადებას/საჩივარს წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენში ასახულია ინფორმაცია **საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების, მედია გრემოსა და კორცხელის საქმის სასამართლო მონიტორინგის შესახებ.**

სავარაუდო დარღვევების/ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც ასევე გავაცნობთ საზოგადოებას.

საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი საქმიანობა

საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საიამ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგი[1] განახორციელა.[2] ამ პროცესში გაანალიზდა როგორც უშუალოდ სხოდების დროს საიას დამკვირვებლების მიერ მიღებული ინფორმაცია, აგრეთვე, ცესკოს რეკომენდაციები, ინდივიდუალური გასაუბრების შედეგები და ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია.

საიას დამკვირვებლები **17** საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრები აირჩიეს.[3] საიას დამკვირვებლები დაესწრნენ **სამგორის, კრწანისის, გლდანის, ვაკის,**

---

[1] **მეთოდოლოგია:** საიას წლებია აკვირდება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესს, რომლის მიზანს არსებული ხარვეზების გამოვლენა, მდგომარეობის გაუმჯობესება და კანონმდებლობის დახვეწა წარმოადგენს.

საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების მონიტორინგის საგანია, ვიკვლიოთ თუ:

- რა კრიტერიუმებით ხდება საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევა;
- ხომ არ ხდება იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევა, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში;
- რამდენად დამოუკიდებლები არიან პროფესიული წესით არჩეული პირები პარტიული ვერტიკალისგან;
- რამდენად ხდება კომისიებში წარსულში დისციპლინურ და ადმინისტრაციულ სახდელდადებულ პირთა არჩევა;
- რამდენად იცავენ არჩეული პირები ეთიკის პრინციპებს და ხომ არ აქვს ადგილი ინტერესთა კონფლიქტის/ ნეპოტიზმის შემთხვევებს.

საიას დამკვირვებლები საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგისას ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან მოიპოვებენ, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციიდან ინფორმაციის მოთხოვნის საშუალებით, საარჩევნო ადმინისტრაციის ვებ-გვერდის შესწავლითა ასევე მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგის გზით. ხშირად მოქალაქეები, პოლიტიკური პარტიის წევრები და კანდიდატები საიას დამკვირვებლებს თავად აწოდებენ ინფორმაციას მათ მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ საიას დამკვირვებლები თითოეულ შემთხვევას უშუალოდ განმცხადებლებთან და იმ პირებთან ამოწმებენ, ვისაც შესაძლოა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდეს. ინფორმაცია გამოკვეთილი ტენდენციების/დარღვევების და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების შესახებ საიას დამკვირვებლებს შეჰყავთ საიას საარჩევნო ანალიტიკურ ბაზაში (საიას საარჩევნო ანალიტიკური ბაზა მოიცავს წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და შემდგომი პერიოდის ტენდენციებისა და გამოვლენილი დარღვევების შესახებ, ასევე წარმოებული საარჩევნო დავებისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე საქართველოს მასშტაბით რაოდენობრივ და თვისობრივ ინფორმაციას.).

[2] საუბნო კომისიები, კანონმდებლობის მიხედვით, კომპლექტდებიან როგორც პარტიული, ასევე პროფესიული წევრებით (6 პროფესიული და 6 პარტიული წევრი).

[3] 2018 წლის 11 სექტემბერს საოლქო საარჩევნო კომისიებში სხდომები გაიმართა, რათა მომხდარიყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი 2018 წლის 29 აგვისტოს გამოცხადდა და საბუთების მიღება 2018 წლის 30 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

დიდუბის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, გორის, ბორჯომის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ბათუმის, ქობულეთის, თელავის, მარნეულის, დუშეთის, ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებს.

გარდა ამისა, საიას დამკვირვებლები ასევე დაესწრნენ კონკურსანტებთან ინდივიდუალურ გასაუბრებას **5** საოლქო საარჩევნო კომისიაში (**წყალტუბო, ზუგდიდი,ოზურგეთი, ჩოხატაური და მარნეული).**

უშუალოდ სხდომებზე დასწრებისა და მონიტორინგის გარდა, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ყველა საოლქო საარჩევნო კომისიიდან წერილობით გამოითხოვეს შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ სხდომის ოქმები,
- ✓ გადაწყვეტილებები,
- ✓ ინფორმაცია კონკურსში მონაწილე პირთა შესახებ და სხვა.

თითქმის ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ ინფორმაციის დამუშავების მიზნით გამოიყენა 10 დღიანი ვადა. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის პროცესზე უშუალოდ დაკვირვების შედეგები, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებიდან ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის მიღების და შესწავლის შემდეგ, საზოგადოებას მივაწვდით დეტალურ ინფორმაციას კონკურსის შედეგების თაობაზე.

ცესკოს რეკომენდაციები

2018 წლის 3 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოლქო საარჩევნო კომისიებს მიმართა, რა დროსაც, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევის პროცესში კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებისაკენ მოუწოდა. ეს რეკომენდაციებია:[4]

- კარგი პროფესიული და საარჩევნო გამოცდილება;

-საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციურად და მიუკერძოებლად მუშაობის გამოცდილება;

-საარჩევნო ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროგრამებში, მათ შორის „საარჩევნო განვითარების სკოლა“, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ და სხვა მონაწილეობა;

-საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობისას, ბოლო 2 წლის განმავლობაში არაერთგზის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების არქონა.

საია პოზიტიურად აფასებს ცესკოს მიერ სახელმძღვანელო რეკომენდაციების დადგენას.

ინდივიდუალური გასაუბრებები კონკურსანტებთან

2018 წლის 1 აგვისტოს ცესკომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესი, პირობები და ვადები განსაზღვრა.[5] განსხვავებით 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დამტკიცებული წესისგან, საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილი აღარ არის

[4] http://cesko.ge/geo/list/show/114503-tseskos-rekomendatsiebi-saubno-saarchevno-komisiis-tsevrta-archevis-protsestan-dakavshirebit

[5] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის #112/2017 განკარგულება. 22.08.2017

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის მონაწილე გასაუბრებისთვის მიიწვიოს.[6] ჩვენი შეფასებით, აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და კომისიის წევრთა შერჩევის პროცედურის წარმართვას არგუმენტირებული დისკუსიის ფონზე. შესაბამისად, პროცესის მნიშვნელობიდან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, იმისათვის რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე თითოეულ პირთან მიმართებაში, მიღებული ყოფილიყო დასაბუთებული და ობიექტური გადაწყვეტილებები, საიამ კონკურსის გამოცხადებამდე მოუწოდა ცესკოს:

- აღედგინა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის მსურველებთან გასაუბრების შესახებ ჩანაწერი;
- უზრუნველეყო კონკურსის წარმართვა კანდიდატებთან გასაუბრების გზით;
- უზრუნველეყო პროცესის გამჭვირვალობა და კონკურსის თაობაზე ინფორმაციის ფართოდ გავრცელება;
- უზრუნველეყო იმ კანდიდატებისთვის უპირატესობის მინიჭება, რომლებსაც წარსულ არჩევნებზე არ დაკისრებიათ დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა სავალდებულოდ არ ითვალისწინებს საუბნო კომისიის წევრობის კანდიდატებისათვის გასაუბრების ჩატარებას, აღნიშნული მიზანშეწონილი იქნებოდა, რაც საშუალებას მისცემდა საოლქო საარჩევნო კომისიებს, როგორც კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოებს, დაედგინათ კონკურსანტების პერსონალური თვისებების, უნარების კონკურსით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა, რაც კონკურსის ამოცანას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ სხდომებამდე, საოლქო საარჩევნო კომისიებმა სხდომებზე განიხილეს და უარი თქვეს გასაუბრების ჩატარებაზე, ასევე ამ საკითხის ინიციატორ წევრებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან განუმარტეს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა გასაუბრების ჩატარებას და კანდიდატთა არჩევა მათ დაუსწრებლად ხდებოდა.[7] ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიებმა უარი უთხრეს გასაუბრებისათვის სათანადო პირობების შექმნასა და სივრცის გამოყოფაზე საოლქო საარჩევნო კომისიებში ამ საკითხის ინიციატორ პარტიულ კომისიის წევრებს.[8]

3 სექტემბერს ცესკომ რეკომენდაცია მისცა საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს, რომ მათ ხელი შეეწყოთ იმ კომისიის წევრებისთვის, ვისაც ინდივიდუალური გასაუბრება სურდა კონკურსანტებთან, რის შემდეგაც ჩვენი დაკვირვებით ასეთი გასაუბრებები შედგა.[9]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებლები დაესწრნენ გასაუბრებას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებთან წყალტუბოში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ჩოხატაურსა და მარნეულში. გასაუბრების ინიციატორი ამავე საოლქო საარჩევნო კომისიებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული ოლქის წევრები იყვნენ, უშუალოდ გასაუბრების პროცესს კი კომისიის სხვა წევრებიც ესწრებოდნენ.

გასაუბრების პროცესის მონიტორინგის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ გასაუბრება:

---

[6] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის #112/2017 განკარგულება. 22.08.2017

[7] ვაკის, საბურთალოს და ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების პასუხი ამავე კომისიებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნულ წევრებს: ვაკე- #45 02.09.2018; ისანი- #018/18 02.09.2018; საბურთალო- #28. 30.08.2018

[8] ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხი - #45 02.09.2018, ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხი- #07/03-44

[9] http://cesko.ge/geo/list/show/114503-tseskos-rekomendatsiebi-saubno-saarchevno-komisiis-tsevrta-archevis-protsestan-dakavshirebit

- საოლქო საარჩევნო კომისიებში ორგანიზებული იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოლქის წევრების მიერ;
- როგორც გაირკვა, თავდაპირველად უფრო მეტმა კონკურსანტმა განაცხადა თანხმობა, თუმცა გასაუბრებაზე მხოლოდ მცირე ნაწილი გამოცხადდა;[10]
- კონკურსანტებისთვის დასმული შეკითხვები ეხებოდა მათ საარჩევნო გამოცდილებასა და კენჭისყრის დღის პროცედურების ცოდნას;
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოლქის წევრის მიერ ადგილი ჰქონდა არათემატური კითხვების დასმას მარნეულში, რასაც წინააღმდეგობა გაუწიეს ოლქის სხვა წევრებმა, ხოლო ზუგდიდში ოლქის დამოუკიდებელი წევრმა გასაუბრების პროცესის ხელშეშლა ორჯერ სცადა, რაზეც საჩივარი შედგა. [11]

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელება

როგორც საიას დამკვირვებლებისთვის გახდა ცნობილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა განცხადებით მიმართეს საოლქო საარჩევნო კომისიებს და კონკურსანტების სამუშაო

გამოცდილების შესახებ ინფორმაცია ქსეროასლების სახით მოითხოვეს.[12] ოპოზიციური კომისიის წევრების განცხადებით, მოთხოვნილი ინფორმაცია მათი საქმიანობის განხორციელებისთვის იყო მნიშვნელოვანი, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების დროს გადაეწყვიტათ თუ რომელი აპლიკანტისთვის დაეჭირათ მხარი. საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისგან განემარტათ, როგორც ოლქის წევრებს შეეძლოთ გასცნობოდნენ კონკურსანტთა სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას. ამასთან, უფლება ჰქონდათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოეთხოვათ არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ასლი, თუმცა ამავდროულად, ვინაიდან კონკურსანტების სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია კონკურსანტთა პერსონალური მონაცემებს მოიცავდა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, მათი თანხმობის გარეშე ვერ გასცემდნენ. [13]

მიგვაჩნია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ) ქვეპუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ კონკურსანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ასლების სახით. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის უარი ამ ინფორმაციის ასლის სახით გადაცემაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან კონკურსანტების შესახებ ინფორმაციის დამუშავება საჭირო იყო მათთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, ანუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

---

[10] წყალტუბო -გასაუბრებაზე თანხმობა განაცხადა 20-მა - გამოცხადდა - 8, ჩოხატაურში გასაუბრებაზე თანხმობა განაცხადა 149 -მა - გამოცხადდა - 7, მარნეული - გასაუბრებაზე თანხმობა განაცხადა 80 - მა, გამოცხადდა - 10 .

[11] საოლქოს დამოუკიდებელი წევრი 2-ჯერ შემოიჭრა ოთახში სადაც გასაუბრება მიმდინარეობდა და პროცესის ხელისშეშლა სცადა. გასაუბრებას ატარებდნენ ნაციონალური მოძრაობის და ევროპული საქართველოს მიერ ოლქში დანიშნული კომისიის წევრები.

[12] თელავი, ოზურგეთი

[13] თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხი საოლქო საარჩევნო კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოლქის წევრს. 02.09.2018

საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომები

სხდომების მიმდინარეობის შეფასებისას გამოიკვეთა საერთო ტენდენციები, რომლებიც ძირითადად გამოხატული იყო ოპოზიციური პარტიების ოლქის წევრების მიერ სხდომის პროტესტის ნიშნად დატოვებაში. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნულმა წევრებმა პროტესტის ნიშნად მონაწილეობა არ მიიღეს კენჭისყრაში.[14] ქუთაისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ კომისიის წევრების მსგავსად კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დანიშნული კომისიის წევრმაც, თუმცა არ დატოვა სხდომის დარბაზი. ოზურგეთში „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დანიშნულმა ოლქის წევრმა კენჭისყრის მანძილზე მხოლოდ ერთ საარჩევნო უბანზე ასარჩევ კონკურსანტებს დაუჭირა მხარი, სხვა ყველა შემთხვევაში თავისი ხმა არცერთი კონკურსანტისთვის არ მიუცია.

ოპოზიციური პარტიების ოლქის წევრების განცხადებით, საოლქო საარჩევნო კომისია აპირებდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებით საუბნო კომისიების დაკომპლექტებას, კანდიდატები იყვნენ პოლიტიზირებულნი,[15] ყველა კანდიდატი წინასწარ იყო შერჩეული და ამ „ფარსში“ მონაწილეობას არ მიიღებდნენ.[16]

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ოლქის წევრების ბრალდებებს პასუხობდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები და განმარტავდნენ, რომ კონკურსანტების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ შეისწავლეს კანდიდატების მონაცემები და ახალი წევრების არჩევა კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისად მოხდებოდა.

სხდომების მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ:

- მთელ რიგ უბნებზე კონკურენცია არ იყო, ვინაიდან 6 ვაკანტურ ადგილზე მხოლოდ 6 განაცხადი იყო შესული საოლქო საარჩევნო კომისიაში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის 17 სხდომაზე, სადაც საია ესწრებოდა მხოლოდ 2 შემთხვევაში, დიდუბე და დუშეთი, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს აწვდიდა ინფორმაციას კანდიდატების საარჩევნო გამოცდილებაზე: ფლობდა თუ არა კონკურსანტი საარჩევნო ადმინისტრაციის სერტიფიკატს ან გავლილი ქონდა თუ არა საარჩევნო სკოლის კურსები;
- საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, კომისიის წევრებს ჰქონდათ ე.წ სამუშაო სია, რომელზე გაკეთებული იყო მონიშვნები. ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ განმარტეს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ კონკურსანტების მიერ წარდგენილ განაცხადებს. სასურველი კონკურსანტი მათ სამუშაო სიაში მონიშნეს, ვინაიდან ყველა კანდიდატურის დამახსოვრება, რომელიც მათთვის სასურველი იყო შეუძლებელი იქნებოდა. საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ამ სიაზე სახელის და გვარების გასწვრივ მითითებული იყო კანდიდატების გამოცდილება 2016-2017 წლის არჩევნებზე.
- საიას დამკვირვებლებისთვის არ იყო აღქმადი, თუ რის საფუძველზე ხდებოდა კონკურსანტებისთვის უპირატესობის მინიჭება.

საია აგრძელებს საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგს და საზოგადოებას მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

[14] კრწანისის, თელავის, მარნეულის, გლდანის, დიდუბის, ოზურგეთის, სამგორის, ჩოხატაურის, წალენჯიხისა და ზუგდიდის ოლქებში. კომისიის სხდომა მხოლოდ ერთმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნულმა წევრებმა დატოვეს ვაკის, დუშეთის, გორისა და ქობულეთის საოლქო კომისიებში.

[15] კრწანისი, გლდანი.

[16] გლდანი

მედია გარემო

საია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მოუწდებს არ გასცდეს უფლებამოსილების მანდატს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია <u>გამოეხმაურა</u> საიას <u>განცხადებას</u>, სადაც შეფასებული იყო კომისიის მიერ მაუწყებლებისთვის პოლიტიკური რეკლამის ამოღების თაობაზე გაგზავნილი წერილები.

როგორც ადმინისტრაციული ორგანო აცხადებს, ,,მაუწყებლების მიერ კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, კომისია, კანონმდებლობით დადგენილი წესით იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.“ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 25 სექტემბერს მაუწყებლებისთვის გაგზავნილი წერილებში კომისიამ უკვე იმსჯელა კონკრეტულ რგოლებთან დაკავშირებით და მიუხედავად იმისა, რომ თავადაც არ მიიჩნევს ამ წერილს სამართლებრივ აქტად, გარკვეული სახის დირექტივებიც გაუგზავნა მაუწყებლებს. კერძოდ:

წერილში საუბარი იყო არა ზოგადად კანონმდებლობის მოთხოვნებზე, არამედ პოლიტიკური რეკლამის შინაარსის განხილვაზე. სწორედ <u>ამგვარი მიდგომები ქმნის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეებს.</u> ამასთან, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხების შეფასებისას კომისია სცდება თავისი უფლებამოსილების ფარგლებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას შემდეგ გარემოებათა გამო:

<u>კომისია არ არის უფლებამოსილი შეისწავლოს პოლიტიკური რეკლამის შინაარსი.</u>

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის თანახმად, ,,მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე. წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება შესაბამისი რეკლამის დამკვეთს.“ **შესაბამისად, კომისია ვერ შეაფასებს პოლიტიკური რეკლამის შინაარს (მათ შორის ვერც არაეთიკურობისა და არასათანადოობის კუთხით), რადგან მისი რეგულირების სფეროში შემავალი სუბიექტები პასუხს არ აგებენ ამ შინაარსზე.**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კომისიას საკითხის განხილვის უფლებამოსილება არ გააჩნია.

როგორც უკვე განვმარტეთ, **ამ ნორმის დარღვევის შემთხვევაში პირს უფლება აქვს მიმართოს თვითრეგულირების ორგანოს ან სასამართლოს (და არა მხოლოდ თვითრეგულირების ორგანოს, როგორც კომისიის პასუხშია მითითებული), ხოლო კომისია არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსებაზე, რომელიც შეიცავს უხამსობას.**

ამ საკითხზე მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოსთვის მიმართვას ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ითვალისწინებს. ამავე კანონით დადგენილია აკრძალვა 56-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ კომისიისა და სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე.

2009 წლის 10 ნოემბერს საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ საკონსტიტუციო სასამართლომ <u>არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რაც პირს მაუწყებლის მიერ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტით დარღვევის შემთხვევაში უკრძალავდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას.</u>

საკონსტიტუციო სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილით <u>დაადგინა:</u> ,,ცნობილ იქნეს არაკონსტიტუციურად ,,მაუწყებლობის შესახებ ,,საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვები ,,გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე ... მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვებს „ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას“, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმარებით.“

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ,,ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“ **კომისიისათვის მიმართვის უფლება არ არის გარანტირებული კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით, ამის თაობაზე არც მოსარჩელეებს უდავიათ ამ საქმეზე და არც საკონსტიტუციო სასამართლოს უმსჯელია ამ საკითხზე. შესაბამისად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ადამიანის ღირსების უფლების შელახვის თაობაზე მსჯელობის აკრძალვა ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსებაზე, რომელიც შეიცავს უხამსობას, დღესაც ძალაშია.**

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას არ გასცდეს მისი უფლებამოსილების ფარგლებს, სრულად გაეცნოს ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

საია აგრძელებს მედია გარემოს მონიტორინგს.

სოფელ კორცხელში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აკვირდებოდა 2016 წლის 22 მაისს ჩატარებულ გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ხობის, ზუგდიდისა და გლდანის ოლქებში საკრებულოს შუალედურ არჩევნებს. საია ასევე მონიტორინგს უწევდა, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში მომხდარი დანაშაულების გამოძიების პროცესსა და სასამართლო პროცესების მიმდინარეობას.

2016 წლის 22 მაისის დილიდან ზუგდიდის N53-ე და N54-ე საარჩევნო უბნებთან მობილიზებული იყო სპორტსმენების ჯგუფი, საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერები და წარმომადგენლები. შეკრებილ ადამიანებს შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რაც გადაიზარდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების (სპორტსმენების) მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისა და მხარდამჭერებისადმი ფიზიკური ძალადობის განხორციელებაში. ინციდენტი იყო საკმაოდ მასშტაბური და ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცველებმა ვერ უზრუნველყვეს ძალადობის პრევენცია და მოძალადეების დაკავება. ინციდენტის დროს დაფიქსირდა ჟურნალისტების საქმიანობის ხელშეშლისა და შეკრების უფლების ხელყოფის ფაქტებიც. მოგვიანებით პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ინციდენტის მონაწილე ექვსი სპორტსმენის მიმართ.

2018 წლის 7 აგვისტოს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ კორცხელში მომხდარ დანაშაულებში ბრალდებული პირები დამნაშავედ სცნო. სასამართლომ საქმეზე კვალიფიკაცია შეცვალა და ნაცვლად სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლისა (ხულიგნობა) ქმედება დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით (ცემა). სასჯელის სახით კი გ. გ.-ს 3000 ლარის გადახდა შეეფარდა, გ. გ.-ს - 4000, ნ. წ.-ს - 5000, კ. ტ.-ს - 6000, ხოლო ვ.გ.-ს 7000 ლარის გადახდა.

კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესები გაჭიანურდა. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის შედეგად პასუხი არ გაეცა უამრავ შეკითხვას. სასამართლოს განაჩენი კი უფრო ბევრ კითხვებს ბადებს, კერძოდ:

- სასამართლო თავად მიუთითებს რომ გარდა ექვსი მსჯავრდებულისა, სხვა პირების მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებაც არსებობს შეკითხვები, თუმცა სასამართლო აღნიშნავს რომ იგი არ არის უფლებამოსილი აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამგვარად, შეკითხვა ხომ არ ჩადენილა სხვა დანაშაულები ინციდენტის მონაწილე სხვა პირების მიერაც კვლავ ძალაში რჩება;
- ჩადენილი ქმედებების სსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისად დაკვალიფიცირება იყო ადეკვატური და სასამართლოს მიერ კვალიფიკაციის შეცვლა ტოვებს კითხვებს გამოძიებისა და პროკურატურის

მიუკერძოებლობის ან მათი კვალიფიციურობის შესახებ. ამასთან, განაჩენში, სასამართლოს მიერ ხულიგნობის ცნებაც არასწორად არის განმარტებული;

- გამოძიების ფარგლებში არ გამოვლენილა ორგანიზატორი პირი ვინც მოახდინა სპორტსმენების საარჩევნო უბანზე მობილიზება. ამასთან, ჯგუფურობის ან თანამონაწილეობის ელემენტი არ არის სათანადოდ გამოძიებული და სასამართლოში გამოკვლეული;
- გამოძიებას არ გამოუკვლევია დანაშაულის ჩადენის მოტივი, კერძოდ, შესაძლოა აღნიშნული დანაშაული ჩადენილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოტივით, რაც უნდა გამხდარიყო (მაშინდელი რედაქციით) სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის შესაბამისად სასჯელის დამძიმების საფუძველი;
- არ არის გამოძიებული ინციდენტის დროს ჩადენილი „ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის“ შესაძლო ფაქტები, ასევე შეკრების უფლების ხელყოფის ფაქტები.

ამგვარად, საზოგადოებაში ისედაც არსებობდა აღნიშნული ინციდენტის გამოძიებასთან დაკავშირებით შეკითხვები, თუმცა სასამართლოს განაჩენით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ინციდენტი სრულყოფილად არ არის გამოძიებული.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომელიც აშშ¬ -ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. საინფორმაციო ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID– ის და აშშ– ის მთავრობის შეხედულებებს.

THIS NEWS LATTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LATTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.